ოქმი:ო63. 63263062
თარიღი:02/11/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N18

27 ოქტომბერი.2026 წელი.

მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯონი თევზაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, ტარიელ დვალიშვილი, როლანდ ეცადეიშვილი, მარიამ ცომაია, ქიშვარდი ღაღანიძე, მერაბ თევზაძე.

ასევე ესწრებოდა:

1. ა(ა)ი.პ.,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს ბუღალტერი - ენძელა პატარიძე.

2. შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი - სამტრედია“-ს ხელმძღვანელი - ალექსანდრე სტურუა.

3.,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს ბუღალტერი - ნინო რუხაძე.

4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის’’ დირექტორი - ივანე კილტავა.

5. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს ხელმძღვანელი - ვეფხია სტურუა.

6. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი - დავით ბაღდავაძე, ბუღალტერი - ლელა ნიკურაძე.

7.შ.პ.ს. სამტრედიის მაცნე“_ს ბუღალტერი - ლელა ნიკურაძე.

8. მოქალაქე -რიონის ქუჩის მცხოვრები-განცხადების ავტორი _ მზია თევზაძე.

დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სპორტული სკოლა''-ს 2026 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535823 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2026 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632535825 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

3. შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632535815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2026 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერს Nგ-63. 632535812 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535819 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2026 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632535820 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

7.,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535818 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18 სექტემბრის N გ-63.

63262614 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.
/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

8. ქ. სამტრედიაში, რიონის ქუჩის ნაწილისათვის სახელის მინიჭების და ქუჩის გაყოფის წინააღმდეგობის შესახებ.

***მომხსენებელი: ჯონი თევზაძე.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

9. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (9 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სპორტული სკოლა''-ს 2026 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535823 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჯონი თევზაძე _ ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა ითხოვს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63.632535823 განკარგულებით დამტკიცებულ 2026 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 10.0 ათ.ლარით და განისაზღვროს 433.5 ათ.ლარით, კერძოდ საქონელი და მომსახურების გეგმის გაზრდას. ზემოთაღნიშნული ცვლილება გამოწვეულია სხვადასხვა სახეობებში საქართველოსა და იმერეთის ჩემპიონატებში, ტურნირებში მონაწილეობის მიღებისათვის: ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში და მძლეოსნობაში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2026 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632535825 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჯონი თევზაძე - როგორც მოგეხსენებათ, შპს „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ნორჩ ფეხბურთელთა გასვლითი მატჩები უზრუნველყოფილია კვებით. 2026 წლის განმავლობაში გარკვეული ხარჯი გაეწიათ ფეხბურთელებს სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობისათვის. დღეის მდგომარეობით შესაძლებლობები იმისა, რომ მათი გასვლითი მატჩები სრულად უზრუნველყოფილი იყოს კვებით, მინიმალურია. ასევე გუნდის პრობლემას წარმოადგენს კომუნალური გადასახადების დროული გადახდა. ასევე ითხოვს ცვლილებას საშტატო განრიგში, კერძოდ ორი შტატის გაუქმებას, ერთი შტატის დამატებას. ასევე ორი შტატის შემცირებას შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა ანაზღაურებიდან საკუთარი შემოსავლით გასაწევ ხარჯში. აქედან გამომდინარე, შპს სპორტული კომპლექსი „სამტრედია“ ითხოვს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63-632535825 განკარგულებით დამტკიცებულ 2026 წლის ხარჯების გაზრდას 30.0 ათ.ლარით, კერძოდ ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევ ხარჯებში: სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის შემცირებას 1.0 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების 1.0 ათ.ლარით; შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევ ხარჯებში - შრომის ანაზღაურების გაზრდას 2.8 ათ.ლარით; კომუნალური ხარჯის 22.2 ათ.ლარით; სხვა ხარჯის 7.0 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №გ-63. 632535815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ შპს „სამტრედიის მაცნე“ ითხოვს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63-632535815 განკარგულებით დამტკიცებულ 2026 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 4.5 ათ.ლარით და განისაზღვროს 130.9 ათ.ლარით. კერძოდ, ითხოვს არაფინანსური აქტივების გეგმის გაზრდას 1.0 ათ.ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმის 3.5 ათ.ლარით. ზემოაღნიშნული ცვლილება გამოწვეულია შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ში საიუბილეო ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებით.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება’’-ს 2026 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერს №გ-63. 632535812 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ ითხოვს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63.632535812 განკარგულებით დამტკიცებულ 2026 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 3.0 ათ.ლარით და განისაზღვროს 185.9 ათ.ლარით, კერძოდ ითხოვს არაფინანსური აქტივების გეგმის გაზრდას. ზემოაღნიშნული ცვლილება გამოწვეულია ბიბლიოთეკაში საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო სარემონტო სამუშაოების შესყიდვიდან გამომდინარე.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი

თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“ , სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535819 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის “საფრენბურთო კლუბი ჯიკო“ ითხოვს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63-632535819 განკარგულებაში ცვლილების შეტანას და ბიუჯეტის გაზრდას 20.0 ათ.ლარით, კერძოდ საქონელი და მომსახურების გეგმის გაზრდას 20.0 ათ.ლარით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია სპორტული დარბაზის მიმდინარე რემონტისათვის.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2026 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632535820 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“ითხოვს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63-632535820 განკარგულებით დამტკიცებულ 2026 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 21.0 ათ.ლარით და განისაზღვროს სულ 452.8 ათ.ლარით. კერძოდ, ითხოვს საქონელი და მომსახურების გეგმის გაზრდას. ასევე ითხოვს საშტატო განრიგის შემცირებას 1 საშტატო ერთეულით, კერძოდ 1.2 ათ.ლარით შრომის ანაზღაურების გეგმის შემცირებას და შესაბამისად სხვა ხარჯების გეგმის გაზრდას 1.2 ათ.ლარით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია სპორტის დამსახურებული ოსტატის მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებისათვის.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535818 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18 სექტემბრის N გ-63. 63262614 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ 2026 წლის 18 სექტემბერს საკრებულოს რიგით სხდომაზე დამტკიცდა განკარგულება N**გ-63. 63262614, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535818 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.** განკარგულების ატვირთვისას დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი. შესაბამისად, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე შესწორებული იქნას აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც ეხებოდა ქ. სამტრედიაში, რიონის ქუჩის ნაწილისათვის სახელის მინიჭების და ქუჩის გაყოფის წინააღმდეგობის შესახებ.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ 2026 წლის 22 ოქტომბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა რიონის ქუჩის მცხოვრებთა განცხადება, რიონის ქუჩის ნაწილისათვის სახელის მინიჭების და ქუჩის გაყოფის წინააღმდეგობის შესახებ.

სხდომაზე მოწვეულია განცხადების ავტორი და ის თავად მოგვახსენებს ზემოაღნიშნული განცხადების შესახებ.

მზია თევზაძე - მოგახსენებთ, რომ რიონის ქუჩის მოსახლეობის ნაწილს, (სარაჯიშვილის ქუჩის კვეთიდან კონკრეტულად ქუჩის მარჯვენა მხარეს) სურს მიენიჭოს თენგიზ მინაშვილის სახელი. განცხადების ხელმომწერნი არ ვართ წინააღმდეგი რიონის ქუჩის ნაწილს მიენიჭოს, ნაადრევად გარდაცვლილი, ძალიან კარგი ადამიანის, თენგიზ მინაშვილის სახელი, მაგრამ ვართ ქუჩის გაყოფის წინააღმდეგი.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

ჯონი თევზაძე - შემდგომი ეტაპი იქნება რიონის ქუჩაზე გასვლითი კომისიის სხდომა, მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხს მიეცეს მსვლელობა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

